# აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანია



ირაკლი ჟორდანიას!

მტკივა ქვეყნის ჭრილობა,
შინაარსით ქართული,
შენი გვარიშვილობა,
არის სასიქადულო!

ფეხქვეშ თელავ მტრის ცოდვას,
რადგან მადლი შენშია,
ბიჭობიდან გიცნობ და
არასოდეს შეგშლია!

მტრებს კაცურად გასცლიხარ,
ღვინოსა ვსვამთ რთველობას,
შენ რაინდი კაცი ხარ,
ვაშა, შენს ქართველობას!

შენი ჯანსულ ჩარკვიანი
28 ოქტომბერი 2014 წელი

9 789941 814013

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ირ. ჟორდანიას საქართველოს საწარმოო ძალებისა და
ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**
**IR. ZHORDANIA CENTER STUDYNG PRODUCTIVE FORCES AND**
**NATURAL RESOURCES OF GEORGIA**
საქართველო, 0162, თბილისი, ფალიაშვილის ქ. 87,
**Tel. 223 216, Fax: (995 32) 222 046, E-mail: KEPS@gw.acnet.ge**
**599 51 42 84, 599 35 2345**

N 01.11.943/4 04.06.2019 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს
აკადემიკოს ა.ფრანგიშვილს

**ბატონო არჩილ,**

უღრმეს მადლობას გიხდით ჩვენი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას სახელის უკვდავსაყოფად ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო ცენტრისათვის ირაკლი ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც ერთხმად მიიღო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ თქვენი ხელმძღვანელობით 2018 წლის 29 მაისს.

ასევე მადლობას მოგახსენებთ „საგამომცემლო სახლი ტექნიკური უნივერსიტეტის" მიერ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე ოპერატიულად გამოცემული პუბლიკაციის - „აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანია" - შედგენა-გამოქვეყნებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნული არის ნათელი დასტური იმისა, რომ თქვენ ხართ ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ობიექტურად შეაფასა აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას ღვაწლი ქვეყნისა და ეროვნული მეცნიერების წინაშე, არ დაიშურა ძალისხმევა მისი ნათელი სახელის უკვდავსაყოფად.

პატივისცემით,
ცენტრის თანამშრომლები:

ზ.ლომსაძე
ქ.ვეზირიშვილი-ნოზაძე
ჯ.კაკულია
ნ.ჭითანავა
ნ.მირიანაშვილი
დ.კუპატაძე
დ.გამეზარდაშვილი
ლ.კვარაცხელია
რ.ფირცხალავა
გ.მაღალაშვილი
ა.სულაძე
ვ.მირზაევა
ტ.ურუშაძე
თ.სახვაძე
ლ.ჩაგელიშვილი
ო.ფარესიშვილი
თ.პატარქალაშვილი
ა.დვალაძე
ქ.მახარაძე
ვ.გელაძე
ე.ტეფნაძე